სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 11 მ ა რ ტ ი, 10 1896 წ. № 11

შინაარსი: უკანასკნელი გამოსალმება.—გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო, ლექსი სილოვანისა.—ორი ამბავი გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან, დ. თომაშვილისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—გაბრიელ ეპისკოპოსის გადაცვალებაზე, ლექსი დ. თომაშვილისა.—ლურჯ მღვიმე.—ზ. ალ. ჯაბადარის გაუთავებელი კრიმანჭულები, ამხანაგობის ერთი წევრთაგანისა.—იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებაზე, ლექსი სამსონ ბახტაძისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება, ნ. ჟორდანიასი.—გურიის ამ ხანაგობის „შუამავლის“ გამო (დასასრული), კ. თავართქილაძისა.—მგზავრის შენიშვნები (დასასრული), ხომლელისა.—კერძო განცხადება.—

უკანასკნელი გამოსალმება.

Დღეს, ჟამსა ზამთრის გაყრისა და გაზაფხულის მიგებებისა, როცა ყოველი და ყოველგან მხოლოთ სიამოვნებასა და მხიარულებას უნდა გრძნობდეს, რათა ღირსეულათ მიეგებოს ამ დიად ,,ბუნების ქორწილს‘‘; დღეს, როცა მხოლოთ იმედი და ნუგეში უნდა იფურჩქნებოდეს გულსა ადამიანისასა,—ჩვენ, ქართველები, მთელი საუკუნის განმავლობაში მარად გულ-დათუთქულნი და იდუმალათ ცრემლის ჰფრქვეველნი, ვერ ჩავერევით ამ საერთო ადამიანთა და ბუნების ფერხულში: ჩვენ, ძაძით მოსილნი და სამგლოვიარო შავებში გახვეულნი, უნდა უკანასკნელათ გამოვეთხოვოთ ჩვენს გულში ღრმათ ჩანერგულ და სამარადისო სათაყვანებელ გვამს, გვამს იმ კაცისას, რომლის ენა-მჭევრი სიტყვა მთელი ოც-და-თუთხმეტი წლის განმავლობაში ხან გულს გვისიევებდა და გვიშფოთებდა, როცა ჩვენს ბიწიერებათა გვამხილებდა, ხანც გულს მოგვეშვებოდა და ანკარა მთის წყაროსავით სასოებითა და იმედით აგვამაღლებდა, ძალსა და ღონეს გვაგრძნობიებდა, რათა შეუკავებელ თავ-დავიწყებამდე ჩვენთა და მოძმეთა საკეთილ-დღეოთ თავი დაგვედვა და იდუმალი ზრახვა, ხანგრძლივი ზამთრით ჩვენსავე გულში დაზრულ-გაყინული, გაგვენედლებია და გაგვეხორციელებია; სწორეთ დღეს, ჟამსა განახლებისა ჩვენ უკანასკნელათ უნდა ვეამბოროთ მადლით მოსილ ხელს მეცნიერი მღვდელ-მთავრისას, ჩვენი გაბრიელისას, უკანასკნელათ უნდა თაყვანი ვცეთ ამ გვამს, ძლიერი და დიადი სულის ჩვენდა შესამეცნებლათ მქონეს, და უკანასკნელი ცრემლი ვაფრქვიოთ, რომლითაც უნდა მოვრწყოთ ის პირქუში და შავი სამარე, რომელიც საუკუნოთ თვალთაგან წარგვტაცებს მას, რომ ამ ცრემლით მორწყულ მიდამოზე, მთელ საქართველოს გულზე აღმოცენდეს ხე ცნობადისა და ძლიერებისა, ხე ღმობიერებისა და სიმტკიცისა, რომელიც თვისი მადლიანი ტოტებით უნდა კავკასიის მწვერვალებს მიებჯინოს და მთელი საქართველო დაფაროს, რომ მის მძლავრ ტოტებს ქვეშ მთელ ქართლოსიანთა შვილებს ეს სამგლოვიარო ძაძა გაგვხდოდეს და გული, ამდენი ჭირით სნეული, მოგვეოხებოდეს და ბრწყინვალე სინამდვილით სასოების შუქი მოგვეფინოს. ამ იმედით უკანასკნელათ ვეამბოროთ მარად დაუვიწყარსა და საყვარელ მღვდელ-მთავარს, ჩვენს გაბრიელს. საუკუნომც იყოს სახსენებელი მისი ჩვენთა და ჩვენს გვარს შორის!..

გაბრიელ ეპისკოპოსის გადაცვალების გამო.

კვლავ ერთი, მაგრამ უკეთესი შვილი სოფლისა:
ქრისტეს მოძღვრებით, ღვთიურ გრძნობით აღტაცებული,
ძმათ სიყვარულში, სიქველეში მოხუცებული,
დღე-და-ღამ ქვეყნის სიკეთისთვის მღვრელი ოფლისა.

—

იმ დროს ცხოვრებდა, როს ზნეობით ხალხი გაირყვნა...
„ჯვარს, ჯვარს აცვითო!" ღაღადებდენ ფარისეველნი,—
გულდამშვიდებით უყურებდენ იმათ მსმენელნი...
„სოფელში იყო—და სოფელმა იგი ვერ იცნა".

—

და როცა მტერნი—მაბეზღარნი ესროდენ ქვებსა,
ის დაჩოქილი ხელაპყრობით ცრემლებსა ღვრიდა,
იმათ მოქცევას, ხსნას და შველას უფალს ვედრიდა
და წარმოთქვამდა წმინდა გულით სათნო სიტყვებსა:

—

„ღმერთო, უშველე!.. უმეცრებით მემტერებიან,—
არ ესმისთ, რაცა მე სიკეთე მათთვის მწადია..
იხსენ, უფალო, რადგან შენგან დანაბადია...
შეუნდევ, ღმერთო! არ იციან, რასა შვრებიან"...

—

და ეს საუნჯე, სოფლის მნათი, ჩაგრულთ ნუგეში—
დღეს აღარა გვყავს, ჩაესვენა მზე დიდებული,
ჩვენთვის მბრწყინავი, თვით სიცოცხლით გაწამებული,
იესოსავით ჯვარზე ცმული მთელ სიცოცხლეში.

—

იტირეთ, ერნო! იგი იყო ქვეყნის ლამპარი:
წყვდიადით მოცულ უმეცრებას ის აშუქებდა,
იმისი სიტყვა უკეთურსაც გულსა უღებდა,—
სიტყვა ძლიერი, თანვე მშვიდი, ციურ-დამტკბარი.

—

იტირეთ, ქრისტეს მორწმუნენო! წმინდა მოძღვარი,
იესოს სწავლის ჭეშმარიტის აღმსარებელი,
ღვთის სიყვარულით გულთ-აღმტაცი, გამხარებელი—
ძევს უგრძნობელი, უცდის მიწა გაუმაძღარი.

—

იტირეთ, ყრმანო! თქვენი მამა, თქვენი იმედი—
ის იყო ღარიბთ, უპატრონოთ გზისა მკვლეველი,
სწავლის მწყურვალთა წყარო უშრეტ დაულეველი,
გულმოდგინებით სიქველისა მარად მომქმედი.

—

იტირეთ, ვისაც არ გიღირსთ შვება და ლხენა:
იტირეთ, ყრმანო და მცხოვანნო, ვაჟნო და ქალნო!
ღვარეთ ცრემლები, ტვირთ მძიმენო და დამაშვრალნო:
ერის მნათობი, თქვენი მთბობი მზე ჩაესვენა!

სილოვანი.

ორი ამბავი გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებიდან.

ჩვენის საყვარელის, აწ განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის ცხოვრებაში ბევრია ისეთი შემთხვევა, რომელიც ცხადათ ამტკიცებს, თუ რამდენათ საყვარელი იყო განსვენებული ეპისკოპოსი ერისათვის, რამდენათ თავ-განწირვით ებრძოდა იგი თავის სამწყსოში ყოველ გვარ ურწმუნოებას და როგორ სულის სიმაღლეს და ხასიათის სიმტკიცეს იჩენდა იგი ამ ბრძოლაში. ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან ორ შემთხვევას ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ცხოვრებიდან.

1890 წელს ოც ივლისს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი ბძანდებოდა სოფ. გელათის ეკლესიაში, რომელიც აშენებულია წმ. ილიას სახელობაზე. უნდა ვთქვათ, რომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი საზაფხულოთ უმეტეს ნაწილათ გელათის მონასტერში დაბძანდებოდა. ხსენებულ დღეს ტაძრის დღესასწაული იყო. ყოვლად სამღვდელოს არ უწირავს, რადგან ეს ეკლესია იმდენათ პატარაა, რომ ათი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ. ეპისკოპოსმა წირვა მოისმინა გარეთ, აივანში მდგომმა, რადგან ცხელი დღისა გამო ეკლესიაში დგომა, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, შეუძლებელი იყო. წირვა გათავდა. ეპისკოპოსი დაბძანდა პატარა ხის სკამზე, მის გარშემო მოგროვდა ხალხი და სულ-განაბული შეცქეროდა საყვარელ სულიერ მამას.—ბავშები მომიყვანეთ, ბრძანა ეპისკოპოსმა:—ლოცვებს ვკითხავ და ჯვრებს დავურიგებ. ბავშები მოგროვდენ.—„რა ლოცვები იცი შენ?"—ჰკითხა ერთ ბავშს ყოვლად სამღვდელომ და თან თავზე ხელი დაადვა.—„მეუფეო ზეცათაო", „წმინდაო ღმერთო" და „მამაო ჩვენო", მიუგო ბავშმა.—„აბა თქვი!"—ბავშმა შვენივრათ თქვა ხსენებული ლოცვები, მიიღო ჯვარი ყოვლად სამღვდელოს ხელით და გახარებული გაიქცა დედასთან, რომელიც იქვე იდგა. ყოვლად სამღვდელომ გამოჰკითხა ლოცვები მეორეს, მესამეს, აჩუქა ჯვრები და გაისტუმრა.

— „მეტმა არავინ იცის ლოცვები?"—იკითხა ყოვლად სამღვდელომ.—„არა"—მიიღო პასუხათ.

— უჰ! ხომ დაჰკარგეთ ჯვრები!"—გაიხუმრა ყოვლად სამღვდელომ და თან საშინელი მწუხარება გამოეხატა სახეზე, როცა შეხედა, რომ თხუთმეტიოდე ბავშში, მარტო სამმა იცოდა ლოცვები.—„მე ვიცი ლოცვები"—გაისმა უცნაური ხმა ძ წინ წამოდგა 30-35 წლის კაცი.—„შენ კი უნდა იცოდე"—ბრძანა ყოვლად სამღვდელომ.—„აბა, თქვი, რა ძ რა ლოცვები იცი?",

—„მეუფეო ზეცათაო“, „წმ. ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, „მრწამსი“, „მიწყალე“ და „ათი მცნება“. —„აბა, ათი მცნება მითხარი!“ —იგი მოჰყვა. გაბრიელმა რამდენიმე კითხვა მისცა მას „ათი მცნების“ შესახებ, და ბოლოს ჰკითხა:—როდესაც ლოცულობ, რა და ლოცვებს იტყვი?“—ყველას ვიტყვი—მიუგო მან.—ათ მცნებასაც?—ამასაც ვიტყვი. ყოვლად სამღვდელოს გაეცინა, ხალხმაც გაიცინა, თუმცა კი არ იცოდა, რისთვის.—„არა! უბძანა გაბრიელმა: „ათი მცნება“ მხოლოთ გულში უნდა დაიმარხო, შეასრულო და არ უნდა ილოცო, ან როგორ უნდა უთხრა ლოცვაში ღმერთს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი-თქო?“ აქ ყოვლად სამღვდელოს კიდევ გაეცინა, დაასაჩუქრა ჯვარით და გაისტუმრა.

— „ჩრდილოში წავიდეთ, ჩრდილოში!“—ბრძანა ყოვლად სამღვდელომ და წაუძღვა წინ ხალხს ცაცხვის ძირში, სადაც შვენიერი ჩრდილი იყო, დადგა იქ და დაიწყო თავის მაღალი შვენიერი კილოთი ქადაგება. ხალხი შესცქეროდა, შვენიერი აზრებით აღტაცებაში მოსული.—ძალიანი არქიელი გვყავს, ცხონდა მაგის მშობელი,—ამბობდა ხალხი, სახლში მიმავალი ქადაგებას შემდეგ.

ამ შემთხვევას გარდა, რომლის დამსწრე ვიყავი, ღირს-შესანიშნავი შემთხვევაა ჩვენი სასიქადულო ეპისკოპოსის ცხოვრებაში შემდეგი, რომელიც მიამბო მისმა მგალობელმა განსვენებულმა ნიკოლოოზ კანდელაკმა. ეს შემთხვევა ეკუთვნის იმ დროს, როცა ყოვლად სამღვდელო გაბრიელს ებარა ახლანდელი გურია-სამეგრელოს ეპარქია, რომელზედაც მიწერილია აგრეთვე ლეჩხუმ-სვანეთი.

— „18... (წელიწადი აღარ მახსოვს) ზაფხულში ყოვლად სამღვდელო გაბრიელი წაბძანდა სვანეთში თავის ქართული მგალობლებითურთ. ჩვენ მივედით სოფელში (აღარც ამ სოფლის სახელი მახსოვს), სადაც ვეწვიეთ მღვდელ-მონაზონს მამა თეოფინეს, რომელსაც დიდათ გაუხარდა ასეთი ძვირფასი სტუმრის მიღება, როგორიც იყო გაბრიელი, მეტადრე სვანეთში, სადაც ამისთანა სტუმარს ძვირათ ვინმე ეღირსება! მეორე დღე კვირა იყო. ყოვლად სამღვდელო მწირველი ბძანდებოდა მ. თეოფანეს დედ-მამის სულის მოსახსენებლათ. დილით ადრე მე ეკლესიაში წავედი. ეკლესიის აღწერას არ შევუდგები: ყველა წარმოიდგენს, როგორი უნდა ყოფილიყო ეს ეკლესია. იგი იყო ვიწრო, დახურული პრტყელი ქვით, შიგ იატაკის მაგივრათ ოღრო-ჩოღრო მიწა, კანკელზე რამდენიმე ხატი ფიცარზე დახატული და სხვა არაფერი... მე გამიკვირდა, რომ სვანები დილით ადრე მოვიდენ ეკლესიაში, მათი დეკანოზიც მალე გამოჩნდა. თურმე გაბრიელის ეშინოდათ, არ გვაწირვიებსო, და ამიტომ მოიფიქრეს ადრე წირვა, რომ გაბრიელს არ შეეტყო. წირვა დაიწყო. დეკანოზმა საკურთხევლიდან ასამაღლებელი თქვა, რომელიც ვერც „კურთხეულ არს“ ვამსგავსე და ვერც სხვა რასმე. მედავითნემ სად „მამაო ჩვენო“ წაიკითხა, სად მიწყალე, სად მრწამსი, რასაკვირველია, თავისებური დამატებით... დეკანოზმა ხის კათხაში, რომელიც ბარძიმის მაგივრობას ასრულებდა, ჩაასხა არაყი, ჩაყარა შიგ პური რამდენიმე ნატეხი, დაიჩოქა და მოწიწებით ლოცვა დაიწყო. ლოცვა რომ გაათავა, ეზიარა. სვანები ამას შემდეგ რიგ-რიგათ მიდიოდენ, იჩოქებდენ, იღებდენ ზიარებას დეკანოზის ხელითა და უკანვე ბრუნდებოდენ. სწირვა გათავდა. გაბრიელ ეპისკოპოსი ახლა მობძანდა საწირავათ. მოვახსენე, სვანებმა უკვე წირეს და ისიც—თუ როგორ. ეპისკოპოსი შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა! მიბძანდა იქვე მდგომ არყის ხის ძირში და დაიწყო ქადაგება.

ქადაგებაში ეპისკოპოსი ბძანებდა, რომ სვანებს ქრისტიანობა დამახინჯებული აქვთ, რომ მათ არ იციან ეკლესიაში დგომა, პირჯვრის წერა, ლოცვები, რომ მათი მღვდლებიც კი უცოდინარნი არიან თავიანთ საქმისა და სხვ. დასასრულ უთხრა: გამოგიგზავნით მღვდლებს, მათი შეისმინეთ და მოიქეცითო. უჩვენა აგრეთვე მ. თეოფანეზე, როგორც მაგალითზე. სვანებმა, რა ეს გაიგონეს, აღელდენ, აირივენ... ერთი სვანი, რომელმაც ცოტა ქართული იცოდა, წინ წამოდგა და ეპისკოპოსს გამოელაპარაკა:

— შენ ბარის კაცი ხარ, მე მთის.—მართალია?

— მართალია, მიუგო ეპისკოპოსმა.

— შენ სხვა ენა მოგცა ღმერთმა, მე სხვა.—მართალია?

— მართალაა.

— ჰო, აბა, მე სხვა რჯული მომცა ღმერთმა და შენ სხვა; ჩემი რჯული კი ჯობია შენ რჯულს. ჩვენ გაგვეცინა სვანის ასე უგუნურ დასკვნაზე; გაბრიელმა კი შეჰყვირა, თავში ხელი შემოიკრა და საშინელი სიტყვებით დაუწყო მხილება სვანებს. საშინელი წამი დადგა... სვანებში ჩოჩქოლი შეიქნა... დავინახე, რომ რამდენიმე სვანმა ნაბდებიდან თოფები გამოაჩინეს...

კარგათ ვხედავდით, რომ ცუდი დღე დაგვადგებოდა, თუ რომ ეპისკოპოსი ლაპარაკს თავს არ დაანებებდა და არ წამოვიდოდა. ყოვლად სამღვდელოს მოვახსენეთ: თავი დაანებე ამ მხეცებს, თორემ ცუდი მოგველის-თქო, მაგრამ ამაოთ. ე—სი ადგილიდანაც არ დაიძრა. იგი ისევ ხმა მაღლა ქადაგებ-

და და ამხელდა სვანთა. სვანებში არეულობა თან-და-თან მატულობდა მოისმოდა განრისხებულ სვანთა მუქარა... ეპისკოპოსი ვერც ამ მუქარამ, რომელიც საშიშ საქმეთ აპირებდა გადაქცევას, შეაშინა: იგი თავისას არ იშლიდა. ჩვენ იძულებული შევიქენით ეპისკოპოსისთვის ხელი მოგვეკიდა და ძალით წაგვეყვანა მ. თეოფანეს სახლში, სადაც გვქონდა ბინა, რათა საშინელ ხიფათისათვის თავი დაგვეხსნა.

დ. თომაშვილი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მარტის 5-ს დრამატული საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართა სახელმწიფო თეატრში საყურადღებო კონცერტი აქაური სამუსიკო სასწავლებლის უფროსის ბ. კლენოვსკის ლოტბარობით. უმთავრეს ინტერესს ამ კონცერტისას წარმოადგენდა ბ. კლენოვსკისაგან ნოტებზე გადაღებული ქართული ხმები, ამ ხმებს მღეროდა სათეატრო ორკესტრის აკომპანიმენტით კარგათ შეწყობილი გუნდი, რომელიც 30 კაცისაგან შესდგებოდა. ყველა სიმღერები საზოგადოებას ფრიად მოეწონა და უხვათ დააჯილდოვა ტაშის კვრით ნიჭიერი ლოტბარი და მისი გუნდი. ბ. ილია კარგარეთელმა თავის ლირიზმით აღსავსე ხმით, ხომ, სრულიად მოჰხიბლა მსმენელები. ერთი სიტყვით, იმდღევანდელმა კონცერტმა შვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და სამუდამოთ დაუვიწყარი დარჩება ჩვენთვის მით, რომ მოულოდნელათ ფრიად დიდი სიამოვნება გვაგრძნობია. დიდი მადლობის ღირსია ბ. კლენოვსკი, რომ ასე ხელოვნურათ შეუმუშავებია ჩვენი ხალხის საერო ჰანგები. ძლიერ სასურველია, რომ ამ დროებითმა კამიტეტმა, რომელიც დაზარალებულების დასახმარებლათ შესდგა, ისარგებლოს ამ შემთხვევით და გაიმეორებინოს ბ. კლენოვსკის ეს სამაგალითო კონცერტი.

* *

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' შესულია ბაქოდან,—სადაც იყო გამართული საქველმოქმედო საღამო,—1142 მ. 5 კ. ამდენივე ფული გამოუგზავნიათ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ დანიშნულებისამებრ გადუდვია: 400 მ. მომავალ ქალთა სკოლისათვის, 100 მ. დრამატულ საზოგადოებისათვის და 42 მ. და 5 კ. ტომსკის უნივ. სტუდენტის მალაშვილისათვის.

***

სახელმწიფო თეატრში მარტის 6-ს ქართველ მსახიობთა დასმა წარმოადგინა ,,მარგარიტა გოტიე''. უმთავრეს როლს ასრულებდა ჩვენი საუკეთესო დრამატიული არტისტი—ქალი ევ. მესხი. უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ ორ მოქმედებაში მის თამაშს ცოტა არ იყო სიცხოველე აკლდა. და ბედნიერ სიყვარულისაგან გამოწვეული გატაცება მკრთალათ ეტყობოდა, სამაგიეროთ შემდეგში ისეთი არა ჩვეულებრივი ნიჭით დაგვიხატა თავგანწირული სიყვარულის მსხვერპლი; ისეთი ძალით გამოხატა ნელი, მელანხოლიური გრძნობა მომაკვდავი მარგარიტასი, ისეთი ნამდვილი, ბუნებრივი სიმართლით იყო სავსე მისი ბრძოლა სიკვდილთან, რომ მან სრულიად დაიმონა მაყურებელნი, სავსებით გამოიწვია მათ გულში უბედური ქალისადმი სიბრალული, და ბევრს ცრემლი მოჰგვარა. კარგები იყვნენ აგრეთვე კოტე მესხი, ჩერქეზაშვილისა და ჩხეიძისა.

***

ამ ცოტა ხანში დაარსდა თბილისში საალებ-მიცემო ამხანაგობა სახელწოდებით ,,შუამავალი'', რომელსაც მიზნათ აქვს შეძლებისა და გვარათ აწარმოვოს აღებ-მიცემა ყოველნაირის მოსავალ-ნაწარმოებისა, როგორც ჩვენი ქვეყნის ისე სხვა ქვეყნებისა და ამნაირათ გახდეს შუამავალი მწარმოებელთა და მომხმარებელთ შუა. საამხანაგო წილის ფასი არის ერთი თუმანი. ამხანაგს შეუძლიან რამდენიმე წილიც შეიძინოს. ამხანაგობის დამაარსებელთ ჰქონდათ კრება და აირჩიეს დროებით გამგეობა, რომელსაც დაავალეს ამხანაგების შოვნა და ფულის შეგროვება საქმის დასაწყებათ. დროებით გამგეობის წევრებათ არიან ელ. აღნიაშვილი, გარ. რატიანი, ივ. როსტომაშვილი, ალ. გარსევანიშვილი და ვარ. ჭიჭინაძე, ხოლო ხაზინადრათ დ. კარიჭაშვილი. (ივერია)

საყურადღებო ამბები.

კავკავი. წლიური კრება კავკავის ქართველობისა. შემდეგ ხანგრძლივის ლოდინისა კავკავის ქართველობას ძლივს ეღირსა ერთათ შეკრება. 19 ამა თვისას აქაურ ქართული სკოლის დარბაზში დანიშნული იყო წლიური კრება, რომელ-

საც, სამწუხაროთ, არ დაესწრო იმოდენა ხალხი, რამოდენაც ესწრებოდა, მაგალითათ, 1894 წ. ნოემბრისა და დეკემბრის კრებებს. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი იოსებ ეას. მოზდოკელიშვილი, ნაცელათ სკოლის თავჯმდომარის, ალ. პ. სარაჯიშვილისა, რომელიც ამ ჟამათ აქ არა ბძანდება.

კრების გახსნისათანავე კამიტეტის მდივანმა წაიკითხა სკოლის ანგარიში, რომლიდანაცა ჩანს, რომ 1896 წლის 1 იანვრ-სათვის შკოლას დარჩენია ნაღდათ 800 მანეთამდე. სხვათა შორის ანგარიშიდანვე ჩანს დახარჯული 35 მანეთი, რომელიც, ჩვენის აზრით, სკოლას არ უნდა შეეხებოდეს. ამის შესახებ მდივანი შეეკითხა საზოგადოებას—კანონიერათ სთელით ამ ხარჯს თუ არაო? საზოგადოებაში გაისმა მხოლოთ დაბლის ხმით ჩიეილი, ხმა მაღლაკი არაეის განუცხადებია და, ამიტომ, მიღებულ იქმნა. როგორც გვახსოვს, 1894 წლის კრებაზე წაკითხულ ანგარიშშიაც იყო ამ გვარი ხარჯი, რომელიც თუმცა მიიღო საზოგადოებამ, მაგრამ კომიტეტს მაინც დაავალა, „რომ შემდეგში ამგვარი ხარჯი აღარ განმეორდეს საზოგადოების დაუკითხავათაო“, საზოგადოების აზრს-კი, ეგონებ, ყურადღება უნდა მიექცეს...

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ არჩეულ იქმნა სამი წევრი სარეეიზიო კომისიისა, სახელდობრ კ. ს. გვარამაძე, ა. ქ. გედევანიშვილი და დ. ა. რაგავსკი.

საზოგადოებამ თხოვა კომიტეტს, დიდი მადლობა გამოუცხადეთ პატივცემულთ ქ.ქ. პაპოვისას, ჭიჭინაძისას, ხიმშიაშვილისას, მოზდოკელოვისას და სხვათა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს „ბაზრობისა“ და ბავშებისთვის „საღამოს“ გამართვაში, და ბ.ბ. გ. ბარათაშვილს, ალ. აფრიამოვს, ივ. მრეველიშვილს, გ. ბურდულს და ი. მოსულიშვილს, რომელნიც აგროვებდენ შეწირულებას სკოლის სასარგებლოთაო. ამ თანამდებობაზე ახლათ არჩეულ იქმნენ ი. ვ. მოზდოკელიშვილი და გ. ბარათაშვილი. (აქ მეტათ არ მიმაჩნია გავაცნო მკითხველ საზოგადოებას წეს რიგი შეწირულებათა შეგროვებისა: კავკავის ქართველობა დაყოფილი იყო უბან-უბან და ყოველ უბანში დანიშნული იყო თითო კაცი, რომელიც აგროვებდა შეწირულებას. ასევე უნდა იყოს შემდეგშიაც. თუმცა, მართალია, ორი კაცი დანიშნა, მაგრამ ნება მიეცათ თანაშემწენი იყოლიონ.) ბ-ნ კახიძემ წაიკითხა კვიჟინაძისა და ჭონიშვილის წერილი, გამოგზავნილი სოფ. ბალთიდან, რომელშიაც აწერილი იყო უნუგეშო მდგომარეობა ბალთის ქართველობისა და მათი ახალმოზარდი თაობისა, რომელიც მოკლებულია სწავლა განათლებას. ახლა-კი, როგორც ჩანს იმ წერილიდან ყურადღება მიუქცევიათ ამ არა სასურველ გარემოებისთვის. ახალგაზდა სიფლის მწერალს, ბ-ნს ნიკოლოზ ფარეშიშვილს, აუყვანია თითქმის 40 მდე ბავში ქართველ-ოსებისა და ასწავლის ქართულ-რუსულ წერა-კითხვას. ზემოხსენებულნი პირნი თხოვენ კავკავის ქართველობას, რაიმე დახმარება აღმოუჩინონ ბალთელ ბავშებს, რომელთაც აქვთ სურვილი სწავლისა, მაგრამ შეუძლებლობისა გამო უძნელდებათ.

ამ წერილმა თანაგრძნობა გამოიწვია და იქვე ხელის მოწერით შეგროვდა ორმოცდა ათ მანეთამდე. აგრეთვე რამდენიმე ახალგაზდა შეჰპირდა სახელმძღვანელო წიგნების ყიდვას, რასაც, იმედია, კიდეც შეასრულებენ.

ის იყო ხალხი იმ ლებოდა, რომ წამოდგა ბ-ნი ფხაკაძე და დაიწყო ლაპარაკი შესახებ ეკლესიის აშენებისა. საზოგადოებამ გამოთქვა თავისი აზრი: ზოგი თხოულობდა—ჯერ ეკლესია ავაშენოთ და შემდეგ საკუთარი ქართველი მღვდელი ვითხოვოთ; ზოგი კი სხვაფრივ ამჯობინებდა: ჯერ ნება გამოვითხოვოთ, რათა შეგვეძლოს ვიყოლიოთ საკუთარი ქართველი მღვდელი, რომელსაც ჰქონდეს ნება ქართულათ წირვა-ლოცვისა ოსების ეკლესიაში; როდესაც ამას შეეასრულებთ, შემდეგ შეეუდგებით ეკლესიის საქმესაო. თორემ აბა რას ეგვანება, რომ უკანასკნელი გროში გამოვიღოთ, სკოლას მოვაკლოთ, ეკლესია ავაშენოთ და შემდეგ-კი აღარ მოგვცენ ნება ქართულათ წირვა-ლოცვისაო?!.

ჩვენ ეს უკანასკნელი აზრი უფრო მოგვწონს. არ იქნება ურიგო, რომ კავკავის ქართველობა ჯერ რიგიანათ ჩაუკვირდეს საქმის მდგომარეობას და ისე დაადგეს რომელსამე გარდაწყვეტილებას, თორემ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მემრეღა თითზე კბენანი“?..

როგორც ვთქვით, კრებას არ დაესწრო ბევრი ხალხი, შეიძლება იმიტომაც, რომ წინა წლებსაეით ბარათებით არ იყვენ მიწვეულნი, არ ვიცით-კი რა მიზეზით, თუმცა საჭირო იყო, რადგანაც კავკავში არ-არსებობს ქართული გაზეთი, რომელშიაც შეიძლებოდეს გამოცხადება. გარდა ამისა, საჭიროა აგრეთვე იბეჭდებოდეს ანგარიშები სკოლის 'მემსაჟალგასავლისა და ურიგდებოდეს აქაურ ქართველობას. აქ საძნელო არაფერია, და ამით-კი დაკმაყოფილებენ სურვილს საზოგადოებისას და აღარ მისცემენ მიზეზს სხვა-და-სხვა უაზრო მითქმა-მოთქმისას. ასე იქცეოდა ნეტარ ხსენებული მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი და ასევე უნდა იქცეოდეს ახლანდელი გამგე და კომიტეტი სკოლისა თუ რომ სურს ნამდვილი

ერთობა და კავშირი არსებობდეს მათსა და საზოგადოებას შუა.

აქ იკრიბება შეწირულება ნატარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდისთვის.

ნაჰეჩწკალი.

***

დაბა დილიჟანი (გუბ. გუბ.) წრეევანდელმა თოველ-დიდობამ არც ჩვენ დაგვტოვა უთო

მისგან მოგვესმა, დამნერგი
სიყვარულისა, ძმობისა.

—

მისებრივ ენა-წყლიანი
და მჭევრ-მეტყველი ძვირია!..
იგი ღირსია—ვუწოდოთ
„ასალი ოქროპირია“.

—

ოცდა-თხუთმეტი წლისა—
ღვთიურო—ბრძენო მამაო,—
დევნიდი ყოველ ბიწიერს,
დევნიდი ყოველ-წამაო.

—

თავ-განწირვითა ებრძოდი
ყოველ ცუდს, შურის-გებასა
და ყველას მის შესაფერსა
აძლევდი დარიგებასა...

—

შენმა ღვთიურმა სიტყვებმა
ამაყს მოულბო გულია;
ბევრს შეამულა არამი:
ვერცხლის მოყვარეს-ფულია.

—

—გიყვარდა სალხი მშობელი
და მისი ტკბილი ენაო,—
მის მფარველ-ნუგეშ იყავი,
სანამდის სული გედგაო.

—

გიყვარდა მხარე მშობელი,
ის არ გასცვალე სხვაზედა,—
მას ემსახურე, სანამდის
იყავი ქვეყანაზედა.

—

აწ ამის წილათ რა გიყვეს:—
დაგივიწყეს ცილთ-წამებანი!..
ამას ჰმოწმობენ თვით შენნი
მაღალნი ქადაგებანი.

—

მაინც გიყვარდა—ეს ვიცი—
მშობელი მხარე-დედაო,
აწ იმის მცველსა, ნუგეშსა,
უძრავ-მდებარეთ გხედავო...

—

მწყემსო კეთილო! დღეს შენი
მაღალ ღვთიური სხეო,
დადუმებული ცხედარი
მდებარე დავინახეო...

—

თვალ-ცრემლიანნი დაგცქერენ
შენი მამულის შვილები,
ამას ამბობენ და გთხოვენ,
გულით შემუსვრილები:

—

—სანამ იყავი, ერთგულათ,
ფრთხილათ გეჭირა თვალია
და დღეს პირ-ნათლათ წარსდგები,
რა მოიხადევალია...

—

უკანასკნელათ ამას გთხოვთ,
ყოვლად სამღვდელო მამაო,—
როგორც აქ მშობელი სალხი
გახსოვდა ყოველ წამაო,

—

ისე მანდ, საკურთხეველზე,
სად იმათგანი ბევრია,
ნუ დაივიწყებ, გახსოვდეს
შენი მშობელი ერია!..

დ. თომაშვილი.

ლურეს მღვიმე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი პატარა ქალაქის ლურეს მცხოვრებთა შორის დარჩენილი იყო თქმულება, რომ ამ ქალაქის ახლო რაღაც საოცარი თვისების მღვიმე მოიპოვებაო. ეს თქმულება დიდ ხანს ზღაპარი ეგონათ და არავინ აქცევდა ყურადღებას. ხოლო 1878 წ. ამ ქალაქში მოვიდნენ ძმანი კამპბელნი. ამათ მოინდომეს შეემოწმებიათ სინამდვილე თქმულებისა. ამიტომ დაიქირავეს მუშები და მიწას თხრა დაუწყეს. მაგრამ ოთხი თვის შრომამ ამაოთ ჩაუარათ. მხოლოთ ერთხელ, როცა ამონათხარ მიწას ათვალიერებდენ, ერთ-ერთი ძმა უცებ მიწამ შთანთქა. საბედოთ მას ქიაფი (спичка) და სანთელი თან ჰქონდა. აანთო და გარშემო ვრცელი გამოქვაბული მღვიმე დაინახა, რომელსაც ათას გვარი ფორმისა და გამოსახულების სტალაქტიტები და სტალაგმიტები *) აშვენებდა სხვა-და-სხვა ფერათ გამომჰვირვალენი. მეორე ძმამ ამოიყვანა ჩავარდნილი. შემდეგ ორივემ იმ ხვრელის მიდამო იყიდეს, მიწა ამოთხარეს და მღვიმე მორთეს და მოაწყვეს.

---

*) წვიმის წყალი, ჯერ კიდევ ჰაერშივე რამდენსამე ნახშირის სიმჟავეს იითვისებს, შემდეგ, ზიანდაგში რომ გაივლის, აქ კიდევ შეიძენს ნახშირის სიმჟამეს. ნახშირის სიმჟავით ასე გადამდაშებული ნიადაგში ჩაატანს

ერთობა და კავშირი არსებობდეს მათსა და საზოგადოებას შუა.

აქ იკრიბება შეწირულება ნატარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდისთვის.

ნაპერწკალი.

* * *

დაბა დილიჟანი (განჯ. გუბ.) წრევანდელმა თოვლ-დიდობამ არც ჩვენ დაგვტოვა უთოვლოთ. მხოლოთ საკვირველი ის არის, რომ როცა სხვაგან უჩიოდენ თოვლ-დიდობას, აქ იმ დროს ქუჩებს მტვერი ადიოდა და მხოლოთ თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწყო და დრო გამოშვებით დღესაც თოვს!

დ. დილიჟანს ჰყოფს მდინარე ორ ნაწილათ: ერთს „ძველ დილიჟანს" უწოდებენ, ხოლო მეორეს—„ახალს" ანუ „მალაკნების სლაბოდკას".

უკანასკნელი სახელი მიტომ დაურქმევიათ, რომ აქ განსაკუთრებით ცხოვრებენ მალაკნები ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს „მართლ-მორწმუნენი". აგერ სამი-ოთხი წელიწადია ამათ ცხოვრებას თვალ-ყურს ვადევნებ და შევამჩნიე, რომ ეს ხალხი გაცილებით ლაზათიანათ და გონივრულათ ცხოვრებს, ვიდრე ჩვენი გლეხობა.

გარდა დილიჟანისა, მალაკნები დასახლებული არიან შემდეგ სოფლებში: ნიკიტინოში, გოლოვინოვკაში, მიხაილოვკაში და სხვ.

ყველას სახლები მოწყობილი აქვთ ევროპიულ გემოვნებაზე; შიგ უდგიათ უბრალო ხის მაგიდა, სკამები და სხვა ავეჯეულობა. სახურავი ფიცრისაა ან კრამიტისა. აგურის ფეჩები აქვთ კედლებში დატანებული. კედლები თეთრი მიწით შელესილია და ზედ უკიდიათ კედლის საათი.

სოფლებში ბევრგან შემოღებულია ახალი სისტემის გუთნები და სხვა სამუშაო იარაღები. აქ, დილიჟანში რამდენიმე სახერხავი მაშინა აქვთ, აგრეთვე ახალი მოწყობილობის წისქვილებიც. გამოჰყავთ შვენიერი ტყავი ფეხსაცმელებისთვის. საზოგადოთ ამ ხალხს მეტათ ხალისიანათ შემოაქვს ყოველი ახალი დაწყობილება და ადვილათაც ითვისებს მას... დრო არის, მგონი, ჩვენმა გლეხობამაც გამოიღვიძოს და მიჰბაძოს მათ.

ტ. ი—ძე.

* * *

ქ. ბათუმი. რამდენი ხანია, ბათუმის მიდამოები ქარხნებით მოფინეს, მექარხნეებმა ჯიბეებიც გაისქელეს, მაგრამ ბედ-კრული მუშები არავის გახსენებია. ამერიკელების მრისხანება და მექარხნეების თავ-გასულობა მუშებზე, თუ არა სასურველ გავლენას იქონიებდა, ფიქრათ არავის მოსვლია. აქ, ბათუმში მუშა ბევრია, მაგრამ სამუშაოს ვერ შოულობს და გულ-ხელ-დაკრეფილი დადის. ვისაც კი აქვს სამუშავარი, არც მისი მდგომარეობაა სანატრელი. ქარხნების გამგებელნი და მექარხნეები მუშებს მეტათ უზდელათ, თავხედათ და თავ-გასულათ ეპყრობიან, მათ ყოველნაირათ ავიწროებენ. მუშებს კი არავითარი სახსარი, არავითარი საშუალება არ მოეპოვებათ, რომ თავი გაიმართლონ, ტყუილა-უბრალოთ თავი არ დააჩაგვრინონ მექარხნეებს და მხოლოთ მათი ჯიბეების გასასქელებლათ არ იმუშავონ. (აქ შეგვეძლო ბევრი დამახასიათებელი მაგალითი მოგვეყვანა, მაგრამ მკითხველის შეწუხების გვერიდება). ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს „საქარხნო ინსპექტორობის" დაარსება ქ. ბათუმში. მექარხნეთა და მათ გამგებელთა საშინელი, საოცარი თავ-გასულობის ასალაგმავათ. მუშების უკიდურესი მდგომარეობის ცოტაოდნათ მაინც გასაუმჯობესებლათ აუცილებლათ საჭიროა, რომ მექარხნეების მოქმედების თვალ-ყურის მდევნელის (ინსპექტორის) დანიშვნის შესახებ შუამდგომლობა იკისროს ვინმემ. დიდი ხანია, რუსეთში მეტის-მეტ საჭიროთ დაინახეს ამ თანამდებობის დაწესება დაკანონება. რადგან აქაური ნაწარმოების რაოდენობა რუსეთისას არ ჩამოუვარდება, იმედია, მთავრობა ულმერთოთ დაჩაგრულებს იმედს არ გაუცრუვებს, თუ კი საქმეს ვინმე გულმტკივნეულათ და გონიერათ გაუძღვება.

მუშა.

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებაზე.

„შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე
წესსა მას ზედა მელქისედეკისა".
ფსალმ. რთ. დ.

გაგვიქრა დიდი ლამპარი,
მნათობი ჩვენი მხარისა!
ძვირათ ვინმეა მხილველი
ასეთი მწყემსთა-მთავრისა!..

—

ოცდა თხუთმეტი წელია,
მძიმე უღელი ატარა,—
არ შეუშინდა ამ უღელს,
თუმც მოერია ჭაღარა.

—

ხმა ქადაგების ძლიერი,
ამღელვებელი გრძნობისა

მისგან მოგვესმა, დამნერგი
სიყვარულისა, ძმობისა.

—

მისებრივ ენა-წყლიანი
და მჭევრ-მეტყველი ძვირია!..
იგი ღირსია — ვუწოდოთ
„ასალი ოქროპირია“.

—

ოცდა-თხუთმეტი წელია —
ღვთიურო — ბრძენო მამაო, —
დევნიდი ყოველ ბიწიერს,
დევნიდი ყოველ-წამაო.

—

თავ-განწირვითა ებრძოდი
ყოველ ცუდს, შურის-გებასა
და ყველას მის შესაფერსა
აძლევდი დარიგებასა...

—

შენმა ღვთიურმა სიტყვებმა
ამაყს მოულბო გულია;
ბევრს შეამულა არამი:
ვერცხლის მოყვარეს-ფულია.

—

— გიყვარდა ხალხი მშობელი
და მისი ტკბილი ენაო, —
მის მფარველ-ნუგეშ იყავი,
სანამდის სული გედგაო.

—

გიყვარდა მხარე მშობელი,
ის არ გასცვალე სხვაზედა, —
მას ემსახურე, სანამდინ
იყავი ქვეყანაზედა.

—

აწ ამის წილათ რა გიყვეს: —
დაგიწყეს ცილთ-წამებანი!..
ამას ჰმოწმობენ თვით შენნი
მაღალნი ქადაგებანი.

—

მაინც გიყვარდა — ეს ვიცი —
მშობელი მხარე-დედაო,
აწ იმის მცველსა, ნუგეშსა,
უძრავ-მდებარეთ გხედავო...

—

მწუემსო კეთილო! დღეს შენი
მაღალ ღვთიური სხეო,
დადუმებული ცხედარი
მდებარე დავინახეო...

—

თვალ-ცრემლიანნი დაგცქერენ
შენი მამულის შვილები,
ამას ამბობენ და გთხოვენ,
გულით შემუსვრილები:

—

— სანამ იყავი, ერთგულათ,
ფრთხილათ გეჭირა თვალია
და დღეს პირ-ნათლათ წარსდგები,
რა მოიხადე ვალია...

—

უკანასკნელათ ამას გთხოვთ,
ყოვლად სამღვდელო მამაო, —
როგორც აქ მშობელი ხალხი
გახსოვდა ყოველ წამაო,

—

ისე მანდ, საკურთხეველზე,
სად იმათგანი ბევრია,
ნუ დაივიწყებ, გახსოვდეს
შენი მშობელი ერია!..

დ. თომაშვილი.

ლურეს მღვიმე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი პატარა ქალაქის ლურეს მცხოვრებთა შორის დარჩენილი იყო თქმულება, რომ ამ ქალაქის ახლო რაღაც საოცარი თვისების მღვიმე მოიპოვებაო. ეს თქმულება დიდ ხანს ზღაპარი ეგონათ და არავინ აქცევდა ყურადღებას. ხოლო 1878 წ. ამ ქალაქში მოვიდენ ძმანი კამპბელნი. ამათ მოინდომეს შეემოწმებიათ სინამდვილე თქმულებისა. ამიტომ დაიქირავეს მუშები და მიწას თხრა დაუწყეს. მაგრამ ოთხი თვის შრომამ ამაოთ ჩაუარათ. მხოლოთ ერთხელ, როცა ამონათხარ მიწას ათვალიერებდენ, ერთ-ერთი ძმა უცებ მიწამ შთანთქა. საბედოთ მას ქიაფი (спичка) და სანთელი თან ჰქონდა. აანთო და გარშემო ვრცელი გამოქვაბული მღვიმე დაინახა, რომელსაც ათას გვარი ფორმისა და გამოსახულების სტალაქტიტები და სტალაგმიტები *) აშვენებდა სხვა-და-სხვა ფერათ გამომჭვირვალენი. მეორე ძმამ ამოიყვანა ჩავარდნილი. შემდეგ ორივემ იმ ხვრელის მიდამო იყიდეს, მიწა ამოთხარეს და მღვიმე მორთეს და მოაწყვეს.

*) წვიმის წყალი, ჯერ კიდევ ჰაერშივე რამდენსამე ნახშირის სიმჟავეს ითვისებს; შემდეგ, ნიადაგში რომ გაივლის, აქ კიდევ შეიძენს ნახშირის სიმჟავეს. ნახშირის სიმჟავით ასე გადამლაშებული ნიადაგში ჩასდგანს



ლურეს მღვიმეს შესავალი.

ახლა ეს მღვიმე დიდებულ სანახაობას წარმოადგენს და ბევრი მგზავრიც ეწვევა ხოლმე უწინდელ პატარა ლურეს, დღეს დიდ ქალაქათ გადაქცეულს იმ მღვიმის გამო. თვით მღვიმეში ზამთარ-ზაფხულ $+10^1/_2{}^0$ სითბოა, ყოველთვის ელექტრონით განათებულია და ბევრ ოთახებათ არის დაყოფილი. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ფორმის სტალაქტიტი მეტობს, ოთახსაც შესაფერი სახელი ჰქვია. მაგ. ერთ ოთახს ეწოდება თეატრი, რადგან მისი იატაკი თითქოს საგანგებოთ მოფენილია კიბის საფეხურებით, მეორეს—საბოტანიკო ბაღი, რადგან აქ სტალაქტიტები თავის გამოსახულებით სხვა-და-სხვა მცენარეებს მოგაგონებთ. ერთ ოთახშიაც სტალაქტიტებს ისეთი საოცარი და განსაცვიფრებელი ფორმა აქვთ, რომ მათი მეოხებით ამ ოთახს ეშმაკთა სასეირნო ოთახი ეწოდა. მღვიმეს შესავალში დგას ვეებერთელა სტალაქტიტის ბოძი, რომლის სიმაღლე ოთხი საჟენია, დიამეტრი კი—სამი საჟენი. ერთ ადგილას ისე საკვირველათ არის ჩამოსხმული სტალაქტიტები, რომ მათ არღანი ეწოდებათ: ამათ რომ ჯოხით ცემა დაუწყოთ, შეგიძლიათ შვენიერი ჰარმონიული ხმები გამოაცემიოთ და სასიამოვნო მელოდია შეასრულოთ.

და იქ მდინარეობას დაიწყებს. ნიადაგში, როგორც ვიცით, სხვა-და-სხვა ნივთიერებანი და ამ ნივთიერებათა სხვა-და-სხვა მარილებია. არის აგრეთვე კირი-ქვა. ნახშირის სიმჟავით გადამლაშებულ წყალში ეს კირი-ქვა გაიხსნება და მოგვცემს მარილს კირი-ქვის ნახშირ-სიმჟავიანს, რომელიც წყალში გახსნილი წყალსვე თან მიაქვს. მაგრამ, წყლის ასეთი ნაკადული თუ სადმე ზიადაგზე ამოვიდა, მაშინ გადამეტი ნახშირის სიმჟავე, წყალში გახსნილი, ორთქლათ ჰაერსავე შეუერთდება. გახსნილი კირი-ქვის ნახშირ-სიმჟავიანი მარილი კი დაილექება. სწორეთ ამნაირათვე ხდება მაშინაც, როცა ასეთი ნაკადული რომელსამე მღვიმეში გამოჟვანავს წვეთ-წვეთათ. წვეთ-წვეთათვე ილექება კირი-ქვის ნახშირ-სიმჟავიანი მარილი და მღვიმეს ხორკლებათ ჩამოესხმის. სტალაქტიტი მღვიმეს ზემოდან ჩამოსხმული და ჩამოშვებული ძუძუების ნაირი ხორკლებია, სტალაგმიტი კი ის ხორკლებია, რომელნიც ქვევიდან, იატაკიდან, ზევით არიან აწვერილნი. ლურეს მღვიმეში მესამე ნაირი ხორკლებიც არის—ჰელიქტიტები, რომელნიც ცოტა ალმაცერათ, წამოწოლით იზდებიან და თავის-უფალი ბოლო ან განზე აქვთ გაზნექილი, ან და ქვევითვე აქვთ დაშვებული.



სათეატრო დარბაზი ლურეს მღვიმეში.

ბ-ნ ალ. ჯაბადარის გაუთავებელი კრიმანჭულები.

ამხანაგობის“ წარმომადგენელმა, როგორიც მოსალოდნელი იყო, ისეთი „პასუხი“ (!) გასცა ბ. აკაკის. მაგრამ ვაი ამ პასუხს!.. ცალიერი, ლიტონი სიტყვით უარჰყოფს მედიატორეთა სამართალს. ასე ყოფილა ძნელი ზნეობრივი გასამართლება!.. ნეტა ვისი ან რისი ეშინია ბ-ნ ჯაბადარს? თუ მართალია—ამორჩეული სინიდისიერი პირებიც ხომ მის სასარგებლოთ გადაწყვეტენ. მაშ, რა არის ეს უკან-დახევა? „უნდა აღვნიშნოთ“—ბძანებს ბ-ნ ჯაბადარი „ივერიის“ № 53 დასტამბულ წერილში—რომ ჯერ არავითარი „ნედორაზუმენიე“ პირობის შესახებ (?!) არ არსებობს და პირობაც დარღვეული არ არის. როდესაც ვნახავთ, რომ თ. აკაკი წერეთელი პირობას დაარღვევს, ჩვენ მოვიქცევით თანხმად პირობისა და დავიცავთ „ამხანაგობის“ ინტერესებს და უფლებას“. კეთილსინიდისიერი პასუხიც ამას ჰქვია!.. თქვენ გეუბნებიან, ნუ მაიძულებთ პირობის დარღვევას ამ გაჭირვებულ დროს, მომყევით სამართალში, რომ გამოვარკვიოთ ჩვენი უთანხმოება, თქვენ კი ამ გაჭირვებით სარგებლობთ და უპასუხებთ ჯერ დაარღვიე და მერე გაგყვებითო. ახლა გკითხავთ: ვთქვათ ბ-ნ აკაკიმ აასრულა კეთილი რჩევა ბ-ნ წარმომადგენლისა და დაარღვია ხელ-შეკრულობა—როგორ გგონიათ, მომავალი სამედიატორო სამართალი გაამტყუნებს აკაკის? ტყუილი იმედია... ვინც ფორმალურათ არ უცქერის ჩვენს ურთიერთობას, ის, რა თქმა უნდა, სხვაფრივ შეხედავს და ჭეშმარიტ მსჯავრს დასდებს ამ უთანხმოებას. ჩვენ აკაკისთან ერთათ უნდა გულწრფელათ ვთქვათ, რომ ბ-ნ ჯაბადარს „არ უხერხდება. პასუხი, ისე გადახვეულ-გადმოხვეულია“. ჯერ ბძანებდა ბ-ნი წარმომადგენელი ბ-ნ აკაკიმ სამართალში გასვლის უმალ ორასი თუმანი ბანკში შეიტანოსო და, როდესაც დაუმტკიცეს, ეს უკადრისი პირობაა, სიტყვის ბანზე აგდებას ნიშნავსო, ახლა საოცარი

კადნიერებით ეუბნება: დაარღვიე პირობა და მაშინ ავირჩიოთ შუაკაცებიო. აი, „თავისებურობა“, თუ გინდათ, ეს არის. გასაკვირველია, ღვთის წინაშე, ესეც... თუ მართლა აკაკის ნაწერები გაუყიდეღი რჩება მაღაზიებში, როგორც გვარწმუნებს ბ-ნი ჯაბადარი, რაღათ ებღაუჭებიან მას?! თუ საზარალოა აკაკის ნაწერების გამოცემა, არა ჯობია ამხანაგობა ახლავე გაშორდეს მას?!.

რაც შეეხება იმას, რომ ბ. ჯაბადარი „კვალის“ რედაქციას გულ-მავიწყობას სწამებს, თითქოს ამ „მოკლე ხანში“ დასტამბულ აკაკის წერილებში მოიპოვებოდეს ამხანაგობის იმ სიტყვებით გაჯიტსვა, რომელიც მოჰყავს იმის წარმომადგენელს წინა წერილში—უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ გადავშინჯეთ აკაკის ნაწერები და არსად უკადრისათ არ არის ხსენებული გამომცემელთა ამხანაგობა. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. აი, მკითხველო, „ქართველთა“ (?!) ამხანაგობის წარმომადგენელის პასუხი—პასუხი მარტივი, პირდაპირი, ოღონდაც რომ „გულ-წრფელი“, მისი წარმომთქმელის შვენივრათ დამახასიათებელი.

„ამხანაგობის“ ერთი წევრთაგანი.

იმერეთის ეპისკოპოსის ვაბრიელის ვარდაცვალებაზე.

მთვარე მნათობი იმერეთისა
მოწყდა კამარას და იკარგება,
მაგრამ სხივები მისი ამ ქვეყნათ
უკუნისამდე არა გაჰქრება.

—

როგორც მზის შუქი ღამის წყვდიადსა
ებრძვის და დევნის ამ ქვეყანაზე,
ისე იღვწოდა ქველ-მოქმედებით
ჩვენი ცხოვრების ყველა საგანზე.

—

ნეტარ-ხსენებულ მამულის შვილი—
ეპისკოპოსი—ქველი გაბრიელ!..
მამულს სიკვდილმდე ის ემსახურა,
სამშობლო მიტომ არის მადრიელ.

—

მშვიდობა შენს ნაშთს, მწყემსო კეთილო,
ქართველთა გულის სვედით დამწველო,
დაუვიწყარო მამულის შვილო,
შენზედა ტირის დღეს საქართველო!

—

მამულისათვის გული გიძგერდა
მისთვის შენ იყავ თავდადებული;
გულწრფელათ ერი შენი გიყვარდა
დღეს საცოდავათ დაობლებული.

—

მამული შენი ისე გიყვარდა,
როგორცა დედას ერთადი შვილი;
მისთვის არ გშურდა შენი დიდება,
შენი სიცოცხლე, ცხოვრება ტკბილი.

—

მწყემსო კეთილო! შენ ვერ გხიბლავდა
ოქრო და ვერცხლი—იყავ ციური...
შენი სიკეთე მამულს ახმარე
ამით საქმე ჰქმენ სწორეთ ღვთიური:

—

ეკლესიები ტურფათ შემოსე,
სასწავლებლებსა ყველგან აგებდი;
საწყალი ხალხი სულით ამხნევე,
მდიდარს მუდამ დღე უქადაგებდი!!.

—

შენი სურვილი სიმართლე იყო
იდექი მუდამ ამ წმინდა გზაზე;
სიცუდისათვის ყველას კიცხავდი
თუნდ ყოფილიყო მაღალი შენზე!..

—

ქვეყანამ იცის, სულის მამაო,
შენი ნაღვაწლი, უკვდავი შრომა...
თუმც სიმართლისთვის ბევრმა გაძაგა,
მაგრამ მიიღო ზეცით მან წყრომა.

—

ოცდა თხუთმეტი წელიწადია,
რაც რომ ამ გვარათ ერს ემსახურე,
მაგალითებით და ქადაგებით
მოყვასთა გული გრძნობით ახურე!..

—

კმარა, მოძმენო, ნუღარა ეტირით
აწ დავიმშვიდოთ მღელვარე გული;
ის იყო ცისა და იქ წარდგება
უფლის წინაშე იმისი სული.

—

იქ, გაბრიელი ცრემლებით თვალზე
შეეეედრება ქალწულს ღვთის-მშობელს,
რათა ჰფარვიდეს ის წმიდა დედა
ქართველსა ერსა და ამა სოფელს!

—

იმის ვედრებას მხსნელიც შეისმენს,
ის მაცხოვარი რომ იყო სოფლათ
და ღვთის-მშობელი თვის მხვედრ ქვეყანას
აღარ დატოვებს სულ ასე ობლათ!!.

—

ამ გვარ იმედით ვართ გამსჭვალული,
ჩვენო ლამპარო, დღეს შენი ერი;
გულწრფელათ ღმერთსა აწ შეგვეედრე
იქნებ კვლავ ეიქმნეთ ჩვენ ბედნიერი!..

სამსონ ბასტაძე.

მესამოდე წლების მოღვაწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

II *)

რა პრინციპები წამოაყენა ახალმა ცხოვრებამ? ბატონ-ყმობის გაუქმება ნიშნავდა საკუთრების და კონკურენციის თავისუფლებას. უფლება მოძრაობის, შრომის და ნაშრომის თავისთვის გამოყენების მიეცა თვითოეული პირს, აზნაურია ის თუ გლეხი, ხელოსანია თუ ვაჭარი, ნასწავლია თუ უსწავლი. ამით მოქმედების ასპარეზი გაფართოვდა, მაგრამ თვითეული აქ თანასწორ ადგილს დაიჭერდა? რაკი ცხოვრება თავისუფალ ბრძოლის დედა-აზრზე დამყარდა ცხადია, აქედან ერთი გამარჯვებული და მეორე დამარცხებული უნდა გამოსულიყო. ბრძოლის ველზე ყველა წოდება გამოვიდა, შეეჯახენ ერთმანეთს და აირიენ ერთმანეთში. გუშინდელი ბატონი ახალმა მორევმა საუკუნოთ დაძირა, გუშინდელი ყმა ზევით ამოყურყუმელავდა. ასეთი არევ-დარევა, გადარჩევ-გადმორჩევა, ახალ ჯგუფთა (კლასთა) შედგენა ჯერაც არ დასრულებულა. ჩვენ ამ პროცესში ვცხოვრობთ და ცხარე მონაწილეობას ვიღებთ.

ასეთ მიმდინარეობამ პირველათ სოფელი დაანძრია. თავად-აზნაურობის მდგომარეობა, როგორც წოდების, შეირყა. მეურნეობის მიუჩვეველ წოდებას ფული დასჭირდა და აი, ამ დროდან იწყება მისი დავალიანება, და ეკონომიურ გზაზე უკან-უკან წასვლა. ან კი შესაძლებელი იყო სხვაფერ? ყმების განთავისუფლება—ეს წოდებრივი ზღუდეების დანგრევა იყო. ამას მოითხოვდა ერის იმ ნაწილის ინტერესი, რომელიც ამ ზღუდეებში იყო მომწყვდეული. მაშასადამე პირველი რეფორმა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ შეიქმნა მიმართული. ეს შემთხვევითი, თითო-ოროლას სურვილით არ დაბადებულა, ახალმა მოძრაობამ, ისტორიულ განვითარებამ აუცილებლათ გახადა. ცხადია, არა რეფორმების, არამედ მისი მომავლინებელის, ეკონომიური განვითარების, მოქალაქობრიობის, მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპიელობის მსხვერპლი შეიქმნა მოწინავე წოდება. ამ გრიგალში მხოლოდ თვითოეულ პირს შეუძლია თავის გადარჩენა, მთელ წოდებას კი არასოდეს. მთელი ახალი ხანა წოდებების უარის ყოფაა, ის პირად ღირსებაზე და შეძლებაზე არის დამყარებული. ასეთ პირობებში წოდებების დაცვისათვის ბრძოლა ნიშნავს ნავში მჯდომის ნავთან ბრძოლას. მეორე მხრით, ამ გარემოებით ისარგებლა გლეხ-კაცობამ. ის ბატონყმობის წინ ნიშნავდა არაფერს, შემდეგ კი გახდა რამეთ. აქ სარგებლობა აშკარაა. მაგრამ აქ ის არ გაჩერდა, ის მედგრათ ჩაერია ატეხილ ბრძოლაში იმ იმედით, რომ თუ რამეს არ შეეიძენ დაკარგვით მაინც არას დავკარგავო, ვინაიდან დასაკარგავი არაფერი გააჩნდა. აი ამ დღიდან გაისმა ჩვენს საზოგადოებაში გოდება: რამდენათ აზნაურობა უკან-მიდის, იმდენათ გლეხობა წინ მოდისო. გამოჩნდა რომ ამ საერთო ბრძოლაში ბრწყინვალე წოდება თანდათან მარცხდება. მაშ საჭიროა მიშველებაო. ამ ნაირათ მიეცა დასაბამი ეგრეთ წოდებულ თავად-აზნაურულ მიმართულებას მწერლობაში. საოცარი ის არის რომ რამდენათ უფრო მწერლობამ, საზოგადოებამ და მთავრობამ გზა ალამაღლა თავად-აზნაურობის სასარგებლოთ, იმდენათ უფრო ის დანაწილდა, დაქვეითდა და ცხოვრების მეტ-ხორცათ გადაიქცა. განა ეს საკვირველი არ არის? ცხადია, აქ რალაც მანქანაა დასალეწი, ბურუსია გასაფანტავი, ამიცანაა გამოსაცნობი..

რანაირათ შეიძლება თავად-აზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესობა? ამ კითხვის გარეშემო დატრიალდა ჩვენი მწერლობა. მოწინავე წოდების ხელშია თითქმის მთელი, კერძო საკუთრებაში მყოფი, საქართველოს მიწა ადგილი. მიუხედავათ ამისა ეკონომიურ გზაზე ვერ გამაგრდა. რატომ? იმიტომ, რომ მეურნეობა არ გვივარგა, ძველი იარაღებით ვმუშაობთ, სამეურნეო ცოდნა არ გვაქვსო, მეურნეობის განკარგება ერთად ერთი წამალია აზნაურობის წამოსაყენებლათო. მაშასადამე სამეურნეო კითხვა თავად-აზნაურობის კითხვაა par excellence. წვრილი ან სრულიად უმამულო, რასაკვირელია, ახალი სამეურნეო იარაღების შეძენის და კულტურის შეცვლისათვის ღონე არ მისწევს. ასეთ წვრილ მემამულეს ეკუთვნის, გლეხ-კაცობას რომ თავი დავანებოთ, თავად-აზნაურობის ნახევარზე ცოტა მეტი. [3]) აშკარაა სამეურნეო კითხვა ეს საშუალ და დიდრონ მემამულეთა კითხვაა, ისე როგორც ეს დღეს ევროპაშია (განსაკუთრებით გერმანიაში). მეორის მხრით. აზნაურობას აქვს ბანკი, ბანკის კარგათ წაყვანა დამფუძნებელთა საქმის კარგათ წაყვანას ნიშნავს. ბანკის კითხვა აზნაურობის კითხვაა.

---

*) იხ. კვალი № 10.

[3]) ჩვენი მიზანი აქ არ არის ეს კითხვა ვრცლათ გავარჩიოთ, ამიტომ აღარც ციფრები მოგვყავს. ხოლო ვინც საბუთს მოგვთხოვს მზათ ვართ ციფრებით დავუმტკიცოთ. ეს ციფრები მოთავსებულია: „Сводъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи въ Тиф. и Кут. губерніяхъ", 1893 г.

ამნაირათ აზნაურობის შეცელილ მდგომარეობამ წამოაყენა ორი კითხვა: სამეურნეო და საბანკო. მწერლობა და საზოგადოება ამაების სჯა-ბაასმა შეიპყრო. მაგრამ პროგრესიული ელფერი რომ შეერჩინათ ორივე კითხვა ეროვნულ კითხვათ გამოაცხადეს, საქართველოს დღეს სხვა საქმე არა აქვსო. ეს კიდეე ცოტაა, სამეურნეო კითხვა ეს სოფლის კითხვაა, მაშასადამე სოფელია ის დედა-ბოძი რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი კეთილ-დღეობაო. აქ თავად-აზნაურობის კითხვა სოფლის კითხვათ გადაიქცა. ასე ერთი კითხვა მეორეში გადადიოდა, მეორე მესამეში, ხოლო ყველა კი ერთში: თავად-აზნაურობას რა უშველისო. [4])

ასე ნელ-ნელა მესამოცე წლების მწერლობა მეოთხმოცდაათე წლების მწერლობათ გადაკეთდა. პირველი ერთიანათ დაფუძნებულია წოდებრივი ზღუდეების დანგრევაზე, მეორე კი ამ ზღუდეების ამართვა და ვამტკიცებაზე. პირველი ასულდგმულებულია მოქალაქობრივი აზრებით, მეორე კი სოფლის მოტრფიალობით. პირველში ეროვნული ლტოლვილება აშენებულია ხალხის ეკონომიურ და იურიდიულ განვითარებაზე, მეორეში კი თავად-აზნაურობის შეცვლილ მდგომარეობაზე. ამისათვის აქ ეროვნულ კითხვებს თავისი მიმზიდველობა ეკარგვის, ის უშინაარსოა, ფრაზებია, ტრაბახობაა და ეს ასეც უნდა იყოს იქ, სადაც კულტურულ, სახალხო, კითხვას თავად-აზნაურულ კითხვათ აქცევენ, სადაც ერის აღორძინებას უპირატესი წოდების აღორძინებას დაუქვემდებარებენ, საერთო წინამსვლელობას აზნაურული მხედულობით გასჯიან. ეს ისევ თათქარიძობაა, თათქარიძობა ახალ მოდის, ახალი ქერქით. ნამდვილ თათქარიძეს სურდა ყველაფერი ძველ, ბატონ-ყმურ, წესზე დარჩენილიყო, ეწინააღმდეგებოდა ყველაფერ ახალ ელემენტს, რასაც კი მყუდრო ურთ-ერთობის დარღვევა შეეძლო. აქ ის სრულ ლოღიკაშია, მასში არავითარი წინააღმდეგობა არ არის, თქვენ შეგიძლიათ დედა-აზრებს არ დაეთანხმოთ, მარა ლოღიკურ ნახტომს ვერ მოუნახავთ. ის ცხოვრების წყობილებას უყურებს როგორც ერთ მთელ ორგანიზმს, რომლის ერთ სახსრის გადასხვაფერება, მთელი ორგანიზმის გადასხვაფერებას აწარმოებს. ამიტომ ის იცავს მთელ ორგანიზმს საერთოდ. მისი აჩრდილი, დღეანდელი თათქარიძე სხვა სახისაა. მას სურს ყველაფერი ახალი: სწავლა, ეკონომია, კულტურული მეურნეობა, საშინაო და საგარეო ბაზარი, ფულის შეძენა და სხ. და სხ., მაგრამ ისე კი რომ სოციალური ურთიერთობა არ შეიცვალოს, ქვეით გლეხობა, ზეით აზნაურობა, აგერ მიღმა სოფელი და პატრიარქალური განწყობილება, იქით, მის მოშორებით, ქალაქი და მოქალაქობრიობა, და ასე განწყობილ-გალამაზებულ ცხოვრებაში თათქარიძეთა ბატონობა. აქ როგორც ხედავთ არავითარი ლოღიკა, სისტემატიური შეხედულება არ არსებობს, ყველაფერი წუთიერი ანგარიშის მსხვერპლია. თავისუფალი ბრძოლა არსებობისათვის ძირითადი კანონია, მაგრამ ამ ბრძოლაში რომ თათქარიძენი დამარცხდენ ეს კი უკანონობაა—აი როგორ აზროვნობს დღეანდელი თათქარიძე. ნამდვილ თათქარიძეს არ რწამდა არც პირველი და არც მეორე წინადადება და მით ლოღიკაში რჩებოდა. მის დღეანდელ აჩრდილს რწამს ორი და ორი მაგრამ არ რწამს ეს რომ ოთხია. ეს კომედიანტია.

რეფორმების შემდეგ ჩვენ ერთ და იმავე გზაზე მივდიეართ, არც ერთი წუთიც ამას არ გადავცდენივართ და თუ მწერლობა გადაცდა ეს მწერალთა სისუსტეა და არა ცხოვრების სიძაბუნე. დროშა მესამოცე წლებში აფრიალებული ისევ აფრიალებულია, მაგრამ მისი მატარებელი ის აღარ არის ვინც მაშინ იყო, ის ერთიანათ ხალხს გადაეცა და მან თავის გულში დამალა, ცხოვრების სიღრმეში გადაიტანა. საჭიროა მისი ისევ ზეით ამოტანა და ის რაც ზედ დღეანდელმა ვითარებამ მოჰქარგა საქვეყნოდ გამოჩენება. აი ეს „მენე-ტეკელი“ უნდა ამოვიდეს სიბნელიდან სინათლეში, შეუგნებლობისაგან შეგნებაში და გადაიქცეს მოწინავე რაზმის დროშათ... ამ რაზმს ჩვენ დღეანდელი მწერლობა ველარ მოგვცემს, იმიტომ რომ ის ერთიანათ გადაცდა ცხოვრების კალაპოტს, ისტორიულ ნიადაგს და მოგეხსენებათ ბურთი წინ გასროლილი უკან ველარ დაბრუნდება. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, შეეძლო კი მწერლობას სხვაფერ მოქცეულიყო? ჩვენ ვიტყვით რომ არ შეეძლო. ეს აუცილებელი იყო, რაიცა პირველი საბუთია ცხოვრების ზრდის და წარმატებისა. მწერლობა იმიტომ დაიბნა რომ ცხოვრება შეიცვალა, ეს ცვლილება მან ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და ფანტაზიას, უტოპიას მიეცა. [5]) ასეთ მდგომარეობიდან მას

[4]) ბოეზის და ბელეტრისტიკა ამ გზას ვერ გაჰყვა, რაიცა ამტკიცებს იმას, რომ გზა იყო ცუდი, სოდო მაგრამ ნაყოფიერობამ, (ახალი ნაწარმოებნი, მესამოცე წლებთან შედარებით), იგლო, რის მიზეზი ბუბლიცისტიკის ანბუნულობა და მიმართულების შეძუშაგებაა.

[5]) ერთად ერთი სოფლის კითხვა, რის განხორციელებაც შესაძლებელია გვერდზე დატოვეს. სახელდობრ. უმაძულობით შეკიწროებულ მცხოვრებთა გადასახლება იქ, სადაც მეტი თავისუფალი მიწაა (ალტარ ქოუნეი, სამურსაანო—ალასაზეთი და სხ.) დაბრკოლებები არისო. ეს შედარ იქნება, მაგ შედარ გულ-ხელ დაკრეფილი ვიყოთ. დაბრკოლებები შემორებული, დაძველული უნდა იქმნან. რასაკვირველია თავად-აზნაურობის შესახებ გოდება უფრო ადვილია ვინემ...

გამოიყვანდა მხოლოთ დასავლეთი ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, კაი ხანია განვლო და საკუთარი გზა გაიკვლია. შესწავლა ამ გზის, გამორკვევა მისი მიდრეკილების ნიშნავს ჩვენი ცხოვრების გარკვევას და მერმისის გათვალისწინებას. სამწუხაროთ ჩვენი მწერლობა ამ მიმართულებას არ ადგია, ის ერთიანათ რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოქალაქობრივათ ჩვენსავით უკან ჩამორჩენილია და მაშასადამე გზას მერმისისას ვერ გვიჩვენებს..

ამ გვარათ, მოღვაწეთა ის გუნდი, რომელიც მესამოცე წლებმა გამოიწვია, შეაერთა და ერთ გზაზე დააყენა, მეოთხმოცდაათე წლებმა დამალა, დაარღვია და ცხოვრების კალაპოტის აქეთ იქით გადასტყორცნა.

რა კალაპოტია ეს? რას შეიცავს იგი? რა ატრიალებს მას და რას ატრიალებს ის? ამის პასუხს ჩვენ გვეტყვის დღევანდელი ცხოვრების გარკვევა.

ნ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)

გურიის ამხანაგობის „შუამავლის“—გამო.

(დასასრული *)

ხსენებული პროექტი დაურიგდა ამხანაგობის დროებითი გამგეობის ნაცნობებს. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში არჩეულ იქმნენ აგენტები, რომელთა რიცხვშიც მოყვა, ერთი ჩვენგანის რჩევით, ბ. ალ. თოიძე. იმ დროს, ე. ი. აპრილის 20-ში, ვფიქრობდი თბილისში წასვლას და ამიტომაც ამხანაგობის გამგეობის წევრებმა დამავალეს, აგენტათ არჩეულ ალ. თოიძესათვის გადამეცა პროექტის ფურცლები და საწევრო პაების ბარათები. ეს შევასრულე. ბ. თოიძესთან მყოფმა პირებმა „შუამავლის“ პროექტი წაიკითხეს და ძლიერ სასიხარულოთ მიიღეს ოზურგეთში ამნაირი ამხანაგობის დაარსების ამბავი. ორმა მაშინვე მოისურვა ამხანაგობის წევრობა და კიდევაც ჩაეწერენ. ამას შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ბ. ალ. თოიძეს გამგეობისთვის არაფერი არ უცნობებია.

იმავე 1895 წლის მაისის პირველ რიცხვებში, კიდევ მომეცა შემთხვევა ალ. თოიძე მენახა; მის აგენტობის მოვალეობა, წევრების შეძენა, მოვაგონე. მან კი მიპასუხა: არავის შეხვეწნა შემიძლია, და თუ ვინმე ისურვებს, დიდი სიამოვნებითო.

გაზაფხულზე „შუამავლის“ აგენტი ბ. თოიძე, ზაფხულის დამდეგს ამხანაგობის სასტიკ მტრათ გარდაიქცა. დიახ, ივნისის პირველს, გაზ. „ივერიის“ საშვალებით [1]), ბ. თოიძემ ჩვენს პატარა საზოგადოებას ამცნო, რომ იგი, ბ. ალ. თოიძე, გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის“ აგენტობაზე უარს აცხადებს. კიდევ კარგი რომ მარტო აგენტობაზე უარის განცხადებით დაკმაყოფილებულიყო ის, არა, ბ. ალ. თოიძე უფრო შორს წავიდა; მან თვით ამხანაგობის საფუძველზე მიიტანა იერიში. მისი რწმენით, გურიაში ამხანაგობის დამაარსებელნი შემცდარნი არიან, რადგანაც ოზურგეთში და საზოგადოთ გურიაში, „მოსული ვაჭარი“ არავინ არის, ყველანი გურულები არიანო და მაგნაირი ამხანაგობის დაარსება ამ ვაჭრებისთვის მავნებელი იქნებაო. აქედან ბ. თოიძის დასკვნა: მაშ მთელი გურიისათვისაც მავნებელი იქნება „შუამავალი“

სცდება, არაფერი გაეგებაო.—შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რა მოჰყვა ბ-ნ ალ. თოიძის წერილსო? როგორც მოსალოდნელი იყო გაზეთში დასტამბულმა წერილმა და იმანაც უპასუხოთ დატოვებულმა, დიდი გავლენა იქონია იმ გვარ ვაჭბატონებზე, რომელიც მე წარსული წლის „კვალის“ № 41-ში დავახასიათე [2]).

ჩემი პაწაწინა შენიშვნათი არც პირადათ შევხებივარ ვინმეს, არც არა მითქვამს-რა გარდა მათი ნათქვამისა და ნამოქმედარისა, და აღვნიშნე მხოლოთ ნამდვილი ფაქტები. ბ-ნ ალ. თოიძემ, იმის მაგიერათ, რომ თავის გასამართლებელი რამ დაეწერა, ან ჩემთვის საბუთები მოეთხოვა, მიძღვნა „ივერიის“ № 226—227-ში დიდი დაუსრულებელი ეპისტოლე, ამ სათაურით: პასუხათ ბ-ნ კონსტანტინე თავართქილაძეს.

საუბედუროთ პასუხში პასუხი არა არის-რა. და ამიტომ ჩემის აზრით, მაგ გვარი წერილი, პასუხის ღირსათ არ მიმაჩნია და არც ვკისრულობ ამას. არ მინდა, რომ ყველა იმ ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტებით მკითხველი მოვაწყინო. აბა თქვენ თითონ მიბრძანეთ, განა პასუხის ღირსია ის წერილი, რომლის მსჯელობა და კილო საჩოთიროა?!. გაზეთში წერის დროს მაინც ზრდილობა და პატიოსნება მოეთხოვება კაცს! ვიმეორებ,

*) ის. „კვალი“, № 8.

1) ის. „ივერია“ 1895 წ. № 112.

2) „როგორ გათამამდენ გურიაში ზოგიერთი ჩარჩ-ბაცაცები, თოიძის წერილის შემდეგ“.

რომ მე არ ვაძლევ ჩემს თავს ნებას, ყველა ის სიტყვები, ყველა ის ადგილები ამოვწერო და შესაფერი პასუხი მივცე. პასუხი დღე, სხვამ მისცეს, სხვა გაზეთში, სულ ერთია. მხოლოთ თუ რამდენათ ცილის წამებით არის ავსებული, თუ რამდენათ მოკლებულია მსჯელობას და ჭეშმარიტებას, ამას მისი წერილის შინარსიდან გავიგებთ:

1) ბ-ნ ალ. თოიძის რწმენით და აზრით, დიდ შეცდომაში შედის საზოგადოთ გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ ყველა წევრი და, კერძოთ საზოგადოების დროებითი გამგეობა, რომ ოზურგეთში ზემოთ აღწერილის ტიპის ამხანაგობას აარსებს, რადგან ოზურგეთში ყველანი გურულები არიან...

2) გვასწავლის: „თუ მეთაურობა შეგიძლიათ, თუ სოფლისა და ღარიბისათვის გული შეგტკივათ, დაბა-სოფლათ გახსენით „მაჩხანისებური“ დეპო-ბანკები-ო.

3) ბ-ნ ალ. თოიძეს ჰგონებია, თუ რომელიმე ქალაქში შკოლები არსებობენ, სამინისტრო ხარჯით ინახება ის თუ საეროით, სულ ერთია, უსათუოთ იმ ქალაქის ვაჭრები ინახავსო.

4) ბ-ნი ალ. თოიძე ფიქრობს: თუ ერთ ქალაქში ერთი ვინმე ქველ-მოქმედია, სასწავლებლებს ეწევა, გზებს და ხიდებს აკეთებს, მოსწავლეებს შემწეობას აძლევს, დანარჩენისათვის არაფერი საჭირო აღარ არისო.

ჩვენ რაღა გვეთქმის, უნდა დავუჯეროთ ბ-ნ ალ. თოიძეს; მას რა თქმა უნდა უფრო ეცოდინება ჩვენი ცხოვრების ყოველივე ამბავი, რადგან ის ჩვენ დედა ქალაქშია და ჩვენ კი სოფლებში, და მაშასადამე სოფელში მცხოვრები სოფლისას რას შეიგნებდა? რას შეისწავლიდა?

დიახ, დაუჯერა გურიის ამხანაგობის ყველა წევრებმა და ამხანაგობის გამგეობამ ბ-ნ ალ. თოიძეს, მიიღო მისი რწმენა და წინადადება — წინადადებათ და რწმენათ, როგორც შორს გამხედავის კაცის მოსაზრება. გახსნა, როგორც ბ-ნი ალ. თოიძე გვასწავლის დაბა-სოფლებში „მაჩხანისებური დეპო კასები“. მერმე რას ფიქრობს აქედან ბ-ნი ალ. თოიძე? ნუ თუ იმას, რომ სოფლებში გახსნილი „დეპო კასები“ უფრო დიდ ბრძოლას გაუწევს ოზურგეთის მოვაჭრეებს, თუ ეს ბრძოლათ მიაჩნია ბ-ნ თოიძეს!!

ჩემი აზრით კი დაბა-სოფლებში დეპო-კასების გახსნა ათასჯერ უფრო მავნებელი იქნება ოზურგეთის ვაჭრებისათვის, ვიდრე თვით ოზურგეთში, მაგრამ ჩვენ კი, ჩვენი ნაფიქრები მიზანი თუ შევასრულეთ, არა თუ ზიანს მოუტანს ოზურგეთის მოვაჭრეებს, პირ-იქით სასარგებლოც იქნება. ამას თვითონ საქმე დაგვანახვებს, რასაჭიროა პირობები...

მაგრამ ჩვენ კიდევ გვაკვირვებს ბ-ნ ალ. თოიძის საქციელი და მისი ახლათ გამოჩეკილი ფილოსოფია.

ერთი ვიკითხოთ: განა სოფლათ არ არიან გურიისავე მკვიდრი მოვაჭრეები, კიდევ უფრო ღარიბნი ოზურგეთის ვაჭრებზე?!. დიაღაც არიან და ბევრი უფრო ღარიბნიც. ვერ ნახავთ ისეთ კუთხეს, ისეთ ორ გზას, რომელიც ერთათ იყრება, ისეთ ეკლესიას, კანცელარიას, სასწავლებლებს და გზის პირებს, რომ სავაჭრო დუქნები არ იყოს და არ ვაჭრობდეს ჩვენი გურულები. ამას მიუმატოთ გურიის დაბები: ლანჩხუთი, სუფსა, ნატანები, ცხემლის ხიდი, ბახვი და სხვა-და-სხვა... კიდევ ვიკითხოთ: რა გაუკეთა ბ-ნ თოიძეს ოზურგეთმა და რა დაუშავა სოფლის უფრო ღარიბმა ვაჭრებმა, რომ ოზურგეთში არ გვანებებს და დაბა სოფლათ გვპირდება და გვასწავლის მიშველებას და დეპოების გახსნას?!. ეს დროებით ბნელით მოცული უნდა დარჩეს, რადგან მე არ მინდა, რომ ვინმეს პირადობას შევეხო... თუ ვინმე ისურვებს მისი წერილის წაკითხვას 1895 წ. „ივერიის“ № № 112—226 და 227-ში იმაში კი უფრო დაწვრილებით გაიგებს და მიწვდება მისი წერილმანობის ამბავს...

ბ-ნ ალ. თოიძე, ერთი ანდაზის არ იყოს, აზრების ცალმხრივობას, ღალატობას და, საზოგადოთ, გამგეობის წევრების უმეცარათ და აბუჩათ აგდებას და ძაძრახვას არ დასჯერდა და კერძოთ ჩემის და ჩემი პირადი ღირსების შელახვას მიჰყო ხელი, რომლითაც მართლა იჩინა თავი. გამასწორა მიწასთან, ერთის სიტყვით რა არ მიწოდა ამ პატიოსანმა კაცმა. რა ცილი გინდა, რომ კალმით დაიწეროს და ცენზურამ გამოუშვას, რომ ალ. თოიძეს ჩემდა დასამცირებლათ, საზოგადოების თვალში, ჩემზე არ დაეწეროს? ერთი სიტყვით დაიმდაბლა თავი და უმართლოთ, უდანაშაულოთ, ათასი სიცრუით და ცილისწამებით, მაწამა ამ კაცმა. დიახ, მაწამა, მიწასთან გამასწორა, შეეხო ჩემს კერძო შინაურ ცხოვრებას და მესამე პირს, ჩემ ძმას, მაგრამ ყველა ამაებზედ მე თავის მართლება ბ-ნ ალ. თოიძესთან სამარცხვინოთ მიმაჩნია. მე ისეც დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი ალ. თოიძის წერილი უმეშტროთ დარჩება, არავინ არ დაიჯერებს, გარეშეც, და შინაურმა და ნაცნობმა ხომ კარგათ იციან კ. თავართქილაძე და ალ. თოიძეცა...

დიახ, ყველა ჩვენი ნაცნობები კარგათ იცნობენ ბ-ნ ალ. თოიძესა და კ. თავართქილაძეს და სრული დარწმუნებით ვარ უცნობებიც მალე გაიგებენ და სწორეთ ამიტომ არის, რომ არ ვკისრულობ და სამარცხვინოთ მიმაჩნია თქვენი წერილის პასუხი მოგცეთ.

ერთის სიტყვით, საჭიროთ არ მიმაჩნია ყოვე-

ლივე თქვენი სიტყვის დამარღვეველი და შესაფერი პასუხი მოგცეთ, რადგან კარგათ დარწმუნებული ვარ, გამჭრიახი მკითხველი ამ პატარა წერილიდანაც იცნობს მტყუანს და მართალს ჩვენ შორის.

ახლა გადვიდეთ ჩვენს უმთავრეს პუნკტზედ. თქვენ მე გამომიწვიეთ სამედიატორო სამართალში. დიდის სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას, მოვდივარ სამედიატორო სამართალში იმ პირობით, რომ რომელიც გამტყუნდება ჩვენს შორის რომელიმე საზოგადო საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოთ უნდა გადიხადოს 500 მანეთი, ხოლო რა საქმეს მოხმარდეს ეს ფულები, მიენდოს იმავე მედიატორებს. ამ პირობებში მე უკვე ამორჩეული მყავს მედიატორებათ ორი კაცი, ორი თქვენ ამოირჩიეთ, რომლებიც ამოირჩევენ მეხუთეს, თავმჯდომარეს. ადგილი იქნება ოზურგეთში.

გ. თავართქილაძე.

მგზავრის შენიშვნები.

(კახეთისაკენ)

(დასასრული *)

დიახ, უნდა მედგრათ ეწინაალმდეგოთ და ბარაქალა ამ მხრით თქვენს მოქმედებას, მაგრამ, ერთი რომ მარტო თქვენი წინაალმდეგი მოქმედებით ჩარჩობა და წურბელაობა არ მოისპობა; მეორეც თქვენ ფიქრობთ, რომ მარტო ჩარჩებისა და წურბელათა მიერ ფულის ულმერთოთ სესხის გაცემამ მიიყვანა თქვენი მდიდარი და შვენიერი მხარე გაკოტრების კარამდე!? არა მგონია. აქ, სხვა გარემოებათა შორის უმთავრესათ ის მიზეზი მუშაობს, მამაო, რომ კახელნი ვაჭარი ხალხი არ არიან, ფული არ გააჩნიათ და მხოლოთ მიწისა და მამულის მუშანი არიან. მიწის მომქმედნი ყოველგან უჩივიან დღეს თავის მდგომარეობას, მაგრამ იმათ სასარგებლოთ სხვაგან იღწვის მთავრობა, საზოგადოება, ინტელიგენცია, ერობა და მრავალ-გვარის დახმარებათა და შემწეობით მძიმე ულელს უმსუბუქებენ..; თქვენ კი, კახელნი ღვთის ანაბარათ ხართ მიშვებულნი. მოდიან აქ სხვა ქვეყნიდან გადმოხვეწილნი ვაჭარნი, რომელთაც ქვეყნის ნაწარმოებთა დამუშავებაში არავითარი პირ-და-პირი მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ უიმათოთ, რადგან მარტო მათ აქვთ ფული, ამ ნაწარმოებს არ გააჩნია არც გზა, არც კვალი. ეს ვაჭარნი ამ გარემოებით სარგებლობენ, ძალიან იაფათ შოულობენ და ყიდულობენ თქვენგან ღვინოს, მრავალ-გვარ ჭირნახულსა და საქონელს, ქალაქსა და რუსეთში კი დიდ ფასში, ერთობ ძვირათ ჰყიდიან. ამითი რასაკვირველია, ისინი მდიდრდებიან, კახეთი კი სულ უკან-და-უკან მიდის და თან-და-თან ღარიბდება... ჩემი აზრით, მიუცილებელი, აწინდელი დრო-ჟამისა და გარემოების შესაფერი მოთხოვნილება და ხსნა კახეთისა ამ ჟამათ ის არის, რომ იგი ადვილ სასიარულო, სწრაფი მიმოსვლით, რკინის გზის გაყვანის საშუალებით დაუახლოვდეს ბაზარს. ეს არის პირველი და უკანასკნელი საკითხი, რომელიც ამ საუკუნის გასულს წამოუყენა მას ჟამთა-ვითარებამ. კახეთისაკენ რკინის გზის გაყვანა მოახდენს მთელ რევოლიუციას. კახელს რაკი პირ-და-პირი, სწრაფი და იოლი გზა გაუჩნდება თავის ნაწარმოების გასასაღებლათ, ამ გარემოებით ძალ-დატანებული თვალს გაახელს, თან-და-თან ჭკუასა და გამოცდილებას შეიძენს, თავის-თავათაც მოჰკიდებს ხელს თავის ნაშრომის ხეირიანათ და ანგარიშიანათ დაფასებას და, ახლანდელთან შედარებით, ერთი ათათ ისარგებლებს იმითი. ეს გარემოება, თავის მხრით, კიდევ დიდათ დააინტერესებს თვით კახელებს, ფულის გემოს, ძალას და მნიშვნელობას აგრძნობიებს, ყიდვა-გაყიდვის საქმეში დაავარჯიშებს, ალუძრავს და განუვითარებს მოქალაქობრივ ნიჭსა, გაუმრავლებს სხვა-და-სხვა ახალ მოთხოვნილებას, გაანაწილებს შრომას, გააჩაღებს მეურნეობას, გააფართოვებს საზოგადო ცხოვრების კალაპოტს, და ამით სულ ერთიანათ, ძირეულათ შეცვლის დღეინდელ თქვენს ყოფას და აღორძინებს, გააახლებს მდიდარ ბუნებით შემკულ კახეთს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა განუსაზღვრელი ზარალი მისცა ქუთაისს და დიდათ დააქვეითა იმისი საქმე მარტო იმ, ერთი შეხედვით უბრალო ამბავმა, რომ რვა ვერსის მანძილის დაშორებით განზე გაუარა უმთავრესმა რკინის გზამ და მხოლოთ ტოტით შეუერთეს. მაგრამ ქუთაისის მოთავე კაცები დიდათ მეცადინეობენ ამ ჟამათ, რომ ეს უშველებელი მარცხი, რომელიც წინათ მოუვიდათ, როგორმე გაასწორონ... დიახ, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველგან რკინის გზის გაყვანას; ასეთი მნიშვნელობა ექნება, უეჭველია, მას კახეთისთვისაც... რაკი იმერლებივით, გურულ-მეგრელებივით და ზოგიერთ ქართლელსავით კახელებიც ჩაერევიან აღებ-მიცემობისა და ყიდვა-გაყიდვის საქმეში, მაშინ ეს გაბერილნი შემოხიზნული ვაჭარნი და საზიზღარ ჩარჩთა და წურბელათა ხროვანი

*) იხ. „კვალი“ № 10.

თავის-თავათ, ნელ-ნელა გაჰქრებიან და, ბოლოს, სრულიათ მოისპობიან კიდეც. დღეინდელი ცხოვრება, მამაო, ქართველებისაგან თხოულობს გამწარებულ ბრძოლას, გაცილებით იმაზე უფრო მძიმე, რთულსა და ინტენსიურ ბრძოლას, რომელიც გარეშე მტრებთან შეტაკების დროს გაუწევიათ ჩვენს წინაპრებს. ამ წუთისოფლათ ის გაიხარებს და იბედნიერებს, ვინც გამარჯვებით იბრძვის და მოქმედებს. ჩვენს შვენიერ ქვეყანას დიდი და სანეტარო მომავალი აქვს, თუ ჩვენ ქართველებივე იმდენ ჭკუასა და გამოცდილებას ვიხმართ, რომ ალღოს ავუღებთ ჩვენს დღეინდელ რეალურ საჭიროებას, და ჩვენ-და გასამდიდრებლათ, გამოსაფხიზებლათ, მოქალაქობრივი ცხოვრების გასაჩაღებლათ მივმართავთ იმ საშუალებასა და იარაღებს, რომელთ მეოხებით დაწინაურებულან დასავლეთის ქვეყნები და ერები. ჩვენი წარმატება, აღმატება და იმედი—მთელი ქართლოსიანთა ერის გაევროპიელებაა და სხვა არა-რა...

— ერთი უბედურება ისიც არის, რომ კახეთს ინტელიგენცია არა ჰყავს. ვინც არის, იმათ შორის, წარმოიდგინეთ, ერთი თუ ორის მეტი მცხეთასაც არ გასცილებია. აბა, ვინ უნდა უწინამძღვროს კახეთს და ჩააგონოს ხალხს?

— ადვილათ მისახვედრია, თუ რატომ, რა მიზეზით არ არის კახეთში ინტელიგენცია. გარწმუნებთ, რომ კახეთშიაც მიუცილებლათ გაჩნდება ინტელიგენცია მაშინ, როდესაც კახეთიც რკინის გზას ეღირსება, დაუახლოვდება განათლებულ შუა-გულ ადგილებსა და ბაზრებს და ახალ ვითარების გზას დაადგება. ყოველგან და ყოველთვის ინტელიგენცია მხოლოთ და მარტო ამ ახალ ვითარების წყალობით გაჩენილა და, მე არ მესმის, კახეთისათვის მარტო რათ უნდა გააუქმოს თავისი განაჩენი საზოგადო კანონმა...

ამ მუსაიფში ვიყავით მე და მოძღვარი გართული, დილიჟანმა რომ კაჭრეთის სადგურთან მიგვიყვანა. უცებ შეიქნა ყვირილი: მიკირტუმ, ეეი მიკირტუმ! ესტელ არი. სიტყვებთ: ესტელ არი, ესტი მუტიკარა, ეს უმნა და სხვა ამგვარები ერთი-მეორეში აირია და ჩვენ არ გვესმოდა, რა ამბავი ხდებოდა. ის კი ვიცი, რომ თითქმის მთელი ერთი საათი გაგვაჩერეს, დილიჟანს დაოხრებული ბორბლები რაღაცნაირათ შეუსწორეს, მერე შეუბეს ცხენები და, მადლობა ღმერთს!.. ძლივს დაგვძრეს.

საკვირველია! ოდესის ქალაქიდან მოყოლებული ბაქომდე და თბილისიდან—კავკავამდე და, ასე წარმოიდგინეთ, როსტოვამდეც კი (რადგან კავკავსა და როსტოვს შუა მუშებისაგან და ნივთების გადამტან-გადმომტანთაგან გამიგონია ქართული) თქვენს ყურთა სმენას ატკბობს ქართული ენის ხშირი, თითქმის მუდმივი გაგონება და აქ კი, შუა გულ საქართველოში, რასა ვხედავთ. მთელი გზა თბილისიდან სიღნაღამდე ისე გამოვიარე, რომ არ დაიჯერებთ, არც ერთ სადგურზე ქართული სიტყვა არ გამიგონია. თურმე თბილის სიღნაღის ტრაქტი იჯარით აღებული ჰქონია ერთ ვიღაც აზოვიანცს, რომელსაც ,,სტაროსტებათ‘‘, ,,კონდუქტორებათ‘‘ ,,იამშიკებათ‘‘ მეჯინიბებათ და სხვა მოსამსახურებათ სულ ერთიანათ თავისიანები,—იანცები დაუყენებია. დალოცვილს, სად მოუძებნია ამდენი კოვები, რომელთაც ქართულისა ინჩიც არ გაეგებათ! მაგრამ აქ საკვირველიც არა არის-რა. ათასიც რომ გვეწყინოს, ყოველივე ესე ამბავი... ჩვენ თავზე ახია. აზოვიანცებმა კარგათ იციან, რომ ქვეყანა ბრძოლაა, დაუსრულებელი და შეუწყნარებელი ბრძოლა და, რათ უნდა გაჰკაცხოთ ისინი ამ ცოდნისათვის? რომ დიდი ოსტატობითა და მოხერხებით იბრძვიან და იმათ რჩებათ კიდეც ცხოვრების მოედანი!?..

კაჭრეთის სადგურს რომ გავცდით, ივრის ხეობის ვრცელ არე-მარეს მოაწვა ზამთრის მრისხანე და სქელ ნისლიანი ბინდი დაღამებისა. მე გული დამილონდა, რომ ამ სიბნელეში ცივ-გომბორის მთიდან, მალარო და ნუკრიანთან, ვერ გადავხედავდი ტურფა და ყოველ გვარის შვენებით სავსე კახეთის, წინა-მხრის მდიდარ ბუნების განსაცვიფრებელს სივრცეს და მომხიბვლელს სურათს, რომელსაც ისე აღტაცებით, ისე ალერსით შეტრფიან ჩვენნი ნიჭიერნი მგოსანნი და მწერალნი.

სიღნაღში შესვლის დროს მოგვესმა დუდუკის ტკბილი და სიამის მომგვრელი ხმა, რომელსაც ვილაცამ ზედ ააყოლა გულის ჩამწყვეტი და ნაღვლიანი: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“... ვინ იყო ეს გულ-დამწვარი, ნეტა? კეკლუცის, ჰაეროვანის, ევას შვენიერი ასულის სიყვარულით დამთვრალი ვინმე ჭაბუკი, თუ ბინძურის გულის-თქმით გატაცებული, ხანში შესული არშიყი, ვინმე სიღნაღელი „ღრაჭდანინი?..“

ხომლელი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

თბილისის ქალაქის გამგეობა და განსვენებულის **პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის** ხსენების პატივსაცემათ შემდგარი კამისია საყოველთაოთ აცხადებენ, რომ დღეს, კვირას, **10** მარტს ვანქის საკრებულო ტაძარში გადახდილი იქნება წლის წირვა და განსვენებულის საფლავზე პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლათ.

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Марта 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41.